მანჩესტერის საფარველის სახელობის ტაძრის მრევლმა VI საუკუნის წმინდანის მოღვაწეობის ადგილი მოილოცა

2021 წლის 7 აგვისტოს სუროჟის ეპისკოპოსის მათეს ლოცვა-კურთხევით ბრიტანეთის მანჩესტერის ყოვლადმიწნდა ღვთისმშობლის საფარველის სახელობის სამრევლომ ღირსი სეირიოლ პენმონელის, ვალიელის (VI ს.) წმინდა წყარო მოილოცა, რომელიც უელსში კუნძულ ანგლსზე პენმონში მდებარეობს. მომლოცველობა დაიწყო საერთო ლოცვით საღვთო ლიტურგიაზე, რომელიც საფარველის სახელობის ტაძარში მღვდელმა ანატოლი ვიხროვმა შეასრულა.

პენმონში ჩასვლისას მამა ანატოლიმ და მანჩესტერის ტაძრის მრევლმა მონასტრის ნანგრევები მოინახულეს, თავდაპირველად დაარსებული ღირსი სეირიოლისა და წმინდა კიბი ვალიელების მიერ VI ასწლეულში, შემდეგ – წმინდა სეირიოლის სახელობის კათოლიკური ეკლესია (ეკლესია-პრიორატი),

რომელიც მოგვიანებით, 1140 წელს არის აგებული.

მომლოცველებმა ძველი მონასტრის გვერდით მდებარე ღირსი სეირიოლის წმინდა წყაროზე ილოცეს – წყაროს წყალს წმინდანი და მონასტრის ძმები დასალევად და ნათლობისთვის იყენებდნენ. მცირე აიაზმის შემდეგ მამა ანატოლიმ მრევლს სულიერი აღმზრდელობითი სიტყვით მიმართა.

***

ღირსი სეირიოლი, პენმონის იღუმენი, ვალიელი, დაიბადა დაახლოებით 494 წელს, იყო გვინედის (Gwynedd) სამეფო ოჯახის წევრი: მეფე ოუენ დარუინის (Owain Darwyn) შვილი და როსის (Rhos სამხრეთ უელსში) მეფე კინლასის (Cynlas) ძმა და ასევე ლინის (liyn, ნახევარკუნძული სამხრეთ-დასავლეთ უელსში) მეფე ეინიონის (Einion) ძმა.

დიდი ხნის განმავლობაში სეირიოლი განდეგილად ცხოვრობდა სენაკში, რომელიც მდებარეობდა მცირე დასახლება პენმონში (Penmon) ანგლსის (Anglesey) აღმოსავლეთ ნაწილში. იგი წყაროში ნათლავდა მათ, ვინც ქრისტესკენ მოექცეოდა (სენაკიც და წყაროც დღემდე არის შემორჩენილი). გადმოცემის თანახმად, კვირაში ერთხელ ის თავისი მეგობრის, წმინდა კიბის სანახავად მიდიოდა, რომელიც რომაულ კედლებთან ცხოვრობდა ჰოლიჰედში (Holyhead) კუნძულის დასავლეთით. ისინი ლოცვით შემოუვლიდნენ ხოლმე ანგლს. წმინდანები ერთმანეთს ხვდებოდნენ და ემშვდობებოდნენ კუნძულის ცენტრში. ამასთან, კიბი დილას მიდიოდა აღმოსავლეთში, საღამოს კი დასავლეთში ბრუნდებოდა. ამგვარად, ის მუდმივად მზისკენ იყო სახით მიბრუნებული და მას უწოდებდნენ შავტუხა კიბის, რადგან სახე ყოველთვის გარუჯული ჰქონდა; სეირიოლი კი, რომელიც საწინააღმდეგო მხარეს დადიოდა, მზისკენ ყოველთვის ზურით იმყოფებოდა, ამიტომ მას სეირიოლ თეთრს უწოდებდნენ.

წმინდა სეირიოლის მოწაფეებმა პენმონის მახლობლად სავანე ააგეს, რომელსაც ღირსი მამა ხელმძღვანელობდა. შემდგომში ის გახდა უელსის კუნძულის ცნობილი სამონაზვნო ცენტრი და ყვავოდა 971 წლამდე, სანამ ვიკინგებმა არ გაანადგურეს.

სიცოცხლის ბოლოს სეირიოლი პატარა კუნძულზე ინის-ლანნოგზე განმარტოვდა, (ახლა ინეს-სეიროლი), ანგლსიდან არც თუ ისე შორს, სადაც მეუდაბნოებაში ცხოვრობდა და დაარსა პატარა მონასტერი. მშვიდობით მიიცვალა ღრმად მოხუცებულობაში.

სუროჟის ეპარქიის ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87879/